



სექცია I: მოთხოვნები დამსაქმებლებისათვის

1.1 ზოგადი მოთხოვნები

	მოთხოვნები		მოქმედება/ კომენტარი
	დიახ	არა	
სამუშაო ადგილზე, სადაც დასაქმებულთა რაოდენობა 20-ზე მეტია, ხდება თუ არა სამუშაოს დაწყების წინ დასაქმებულთა ყოველდღიური თერმოსკრინინგი?			
ხდება თუ არა სავაჭრო ობიექტზე ფართო საზოგადოების და მომხმარებლების დაშვების შეზღუდვა?			
არსებობს თუ არა შესაბამისი სქემა მომხმარებელთა ნაკადების ეტაპობრივ დაშვებასთან დაკავშირებით და ხდება თუ არა საერთო სივრცეში მომხმარებელთა რაოდენობის კონტროლი? (5მ <sup>2</sup> ფართზე 1 მომხმარებელი)			
სავაჭრო ობიექტის შესასვლელში და სასადილოში არის თუ არა განთავსებული დეზობარიერი შესაბამისი სავალდებულო ნიშნის მითითებით?			
სავაჭრო ობიექტის სალაროებთან და გადახდის ადგილებში არის თუ არა დამონტაჟებული გამჭვირვალე დამცავი ბარიერი?			
ხდება თუ არა სავაჭრო ობიექტზე მომხმარებელთა და დასაქმებულთა ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენებაზე კონტროლი?			
ხდება თუ არა დასაქმებულებისათვის და მესამე პირებისათვის ინფორმაციის მიწოდება ვირუსთან დაკავშირებული ყველა საკითხისა და პრევენციული ღონისძიებების შესახებ?			
არის თუ არა სავაჭრო ობიექტის სივრცეში განთავსებული ინფორმაცია ჰიგიენური საშუალებებით დაცვის შესახებ, მათ შორის, ხელის დაბანის, ნიღბის მორგების, მისი ტარებისა და მოცილების წესის შესახებ?			
უზრუნველყოფილია თუ არა სამუშაო სივრცეში ზედაპირების დასუფთავება/დეზინფექცია სათანადო წესით? (დაბინძურების შესაბამისად, მაგრამ არანაკლებ დღეში 3-ჯერ), ასევე ყველა იმ ზედაპირის დამუშავება 2 საათში ერთხელ, რომელთანაც ხშირად შეხება უწევს დასაქმებულს/მომხმარებელს (მათ შორის კარის			

სახელურები, საკასო აპარატები, კომპიუტერის კლავიატურა, მაუსი, კალკულატორი და ა.შ.)?			
დაცულია თუ არა სავაჭრო ობიექტზე დასაქმებულებსა და მომხმარებლებს შორის მინ. 2 მეტრიანი დისტანცია? სავალდებულო პირობითი ნიშნები? (იატაკზე შესაბამისი სტიკერების/ნახაზების სახით)			
უზრუნველყოფილია თუ არა სამუშაო ადგილებზე ხელის პერიოდული დეზინფექციისთვის საჭირო სულ მცირე, 70%-იანი ალკოჰოლის შემცველი ხელის დასამუშავებელი ხსნარის განთავსება?			
არის თუ არა სავაჭრო ობიექტში განთავსებული დახურული კონტეინერები გამოყენებული ერთჯერადი ხელსახოცებისა თუ სხვა გამოყენებული ჰიგიენური ნარჩენებისათვის?			
ხდება თუ არა დამსაქმებლის მხრიდან სავაჭრო ობიექტზე დასაქმებულებისათვის უსაფრთხო მუშაობის პროცედურებისა და ვირუსის გავრცელების პრევენციის შესახებ ინფორმაციის მიწოდება?			
უზრუნველყოფილია თუ არა დღეში რამდენჯერმე დახურული სივრცეების/სათავსების ბუნებრივი ვენტილაცია და სამუშაო ადგილების სველი წესით დასუფთავება (არანაკლებ 3 ჯერ)?			
ბუნებრივი ვენტილაციის შეუძლებლობის შემთხვევაში უზრუნველყოფილია თუ არა სამუშაო ფართი ხელოვნური ვენტილაციის სისტემით, გარედან შემოსული ჰაერის გაზრდილი რაოდენობის უზრუნველყოფით?			
ხორციელდება თუ არა სადეზინფექციო სამუშაოების ჩატარება, სამუშაოს შუალედში და სამუშაოს დასრულების შემდგომ ყოველდღიურად?			
გამოიყენება თუ არა სავაჭრო ობიექტზე სანიტარული შესვენებები?			
ხელმისაწვდომი არის თუ არა სავაჭრო ობიექტზე დასაქმებულთა და მესამე პირებისათვის ხელის ჰიგიენური საშუალებები?			
არის თუ არა სავაჭრო ობიექტზე განთავსებული ხელის ჰიგიენური საშუალებების სწორად მოხმარების წესები?			
<b>სხვა გარემოებები:</b>			

**სექცია II: მოთხოვნები დასაქმებულებისათვის**

	მოთხოვნები		მოქმედება/ კომენტარი
	დიახ	არა	
იცავთ თუ არა მუშაობისას უსაფრთხო დისტანციას? (არანაკლებ 2 მ)			
სამუშაოების შესრულებისას იყენებთ თუ არა იმ ინდივიდუალური დაცვის საშუალებებს, რომელსაც გაწვდით დამსაქმებელი?			
სამუშაო პროცესის მიმდინარეობისას ასუფთავებთ თუ არა სადეზინფექციო საშუალებებით სამუშაო ადგილებს და იმ ხელსაწყოებს, რომელსაც იყენებთ?			

**დამსაქმებლის ხელმოწერა:**

**საზედამხედველო ორგანოს წარმომადგენლის ხელმოწერა:**